



Georgian Pediatric-Rheumatology
Association

საქართველოს
პედიატრ-რევმატოლოგთა
ასოციაცია

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და
სოციალური დაცვის სამინისტროს მინისტრს,
დავით სერგეენკოს

ბატონო დავით მოგესხენებათ, რომ 2015 წლიდან „იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით თერაპიას დაქვემდებარებული პაციენტების მკურნალობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ხორციელდება „იუვენილური ართრიტით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ბიოლოგიური პერპარატებით უზრუნველყოფის პროგრამა“.

დღეისთვის პროგრამაში რეგისტრირებულია 53 პაციენტი, რომელთა მომსახურება წარმატებით ხორციელდება ორი პრეპარატით: ინტერლეიკინ-6-ის ბლოკერით - ტოცილიზუმები (აქტემრა) და სიმსივნის ნეკროზის ფაქტორის ერთ-ერთი ბლოკერით - ეთანერცეპტი (ენბრელი), თუმცა ამ წლების განმავლობაში გამოიხატა აუცილებლობა აღნიშნულ პროგრამაში დამატებით მესამე პრეპარატის, კვლავ სიმსივნის ნეკროზის ფაქტორის ბლოკერის - ადალიმუმების (ჰუმირა) ჩართვა.

აღნიშნულ მიზეზს წარმოადგენს იუვენილური რევმატოიდული ართრიტით გამოწვეული თვალის დაზიანების (უვეიტი, ირიდოციკლიტი, კატარაქტა) შემთხვევები, რომლებიც არ ექვემდებარება ე.წ. პირველი და მეორე რიგის პრეპარატებით (სტეროიდი, მეტოტრექსატი, სულფასალაზინი, ტოპიური სტეროიდები) თერაპიას.

საერთაშორისო რეკომენდაციების გათვალისწინებით აღნიშნული დაზიანების დროს რეკომენდირებული არ არის (უშედეგოა) პროგრამაში უკვე ჩართული პრეპარატები (ეთანერცეპტი, ტოცილიზუმები), რის გამოც დაავადება პროგრესირებს და მაღალია ალბათობა მხედველობის სრული დაკარგვის.

ამჟამად აღნიშნული მდგომარეობით რეგისტრირდება 6 (ექვსი) პაციენტი.

ჩვენი ორგანიზაციის სახელით გთხოვთ, პროგრამის ბიუჯეტის შედგენის დროს გაითვალისწინოთ ზემოთ აღნიშნული ფაქტი.
წინასწარ გიხდით მადლობას.

პატივისცემით,
მაკა იოსელიანი
საქართველოს პედიატრ-რევმატოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი
მ.იამვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს
რევმატოლოგიური ცენტრის ხელმძღვანელი

